

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი

# გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად

გავაკლიეროთ პოლიტიკური პარტიები



გლობალური სამოქმედო გეგმა

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი

გლობალური სამოქმედო გეგმა

---

გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად  
გავაძლიეროთ პოლიტიკური  
პარტიები

## გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად: გავაძლიეროთ პოლიტიკური პარტიები

დღესათვის მსოფლიო კარგავს მნიშვნელოვან რესურსს. ათობით ათასი ნიჭიერი ქალი მზადაა საკუთარი პროფესიული გამოცდილება მოახმაროს საზოგადოებას; ამავდროულად, ისინი არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პოლიტიკური პარტიები – კარიბჭე პოლიტიკური საქმიანობისა – წარმოადგენს ქალებისთვის პოლიტიკურ პროცესებში სრულყოფილი მონაწილეობის მნიშვნელოვან ხელისშემწეობ ფაქტორს. მხოლოდ ქალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება პარტიაში, ან მათი ჩართვა პარტიული სიების ბოლო რიგებში საკმარისი არ არის; მათ უნდა შექმნან რეალური შესაძლებლობები ქალთა ლიდერობისთვის.


2003 წლის 9–10 დეკემბერს საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ინიციატივით ქალაქ ვაშინგტონში შეიკრიბა 27 ქვეყნის პოლიტიკურ პარტიების ლიდერი ქალები, რათა განესაზღვრათ პოლიტიკურ პარტიებში ქალთა როლის გაზრდის ყველაზე ეფექტური მექანიზმები. ეს შეკრება, რომელსაც 2003 წლის გლობალური ფორუმი ეწოდა და გაიმართა დევიზით „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად: გავაძლიეროთ პოლიტიკური პარტიები“ მიზნად ისახავდა ქალებისათვის მიეცა საშუალება აქტიური მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი ქვეყნების მომავლის შეცვლაში.

ფორუმი იკვლევდა იმ პოლიტიკური პარტიების სტრუქტურას, რომლებმაც ხელი შეუწვეეს და იმუშავეს ქალის, როგორც ლიდერის როლის გაძლიერებაზე, კანდიდატთა შერჩევასა და ტრენინგის პროგრამებზე, ამომრჩევლებთან ურთიერთობის წარმატებულ მეთოდებზე, თანხების მოძიებასა და კონტაქტების დამყარების შესაძლებლობებზე, იმისათვის, რომ ზეგავლენა მოეხდინათ სამთავრობო პოლიტიკაზე. ამ კვლევის საფუძველზე ფორუმის მონაწილეებმა შეიმუშავეს „გლობალური სამოქმედო გეგმა“ – რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება, როგორც ქალებს, ასევე პოლიტიკურ პარტიებს, რომლებისთვისაც სასარგებლო იქნება, თუკი თავიანთ შემადგენლობას გააფართოებენ, და ამით უფრო საინტერესონი გახდებიან.

ქვემოთ მოცემული გლობალური სამოქმედო გეგმა უნიკალურია, რადგან ის მთლიანად პოლიტიკურ პარტიებზეა ფოკუსირებული. იგი უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს ქალებს პოლიტიკური პარტიების რეფორმირების, განახლებისა და მოდერნიზაციის დემოკრატიულ პროცესში. ჩვენ მოვუწოდებთ პარტიებს გადადგან ჭეშმარიტად რეფორმატორული ნაბიჯები და ლიდერობის მეტი შესაძლებლობა მისცენ ქალებს, როგორც ეს წინამდებარე გლობალური სამოქმედო გეგმით არის გათვალისწინებული. გლობალური სამოქმედო გეგმა პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობს პარტიულ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რითაც ხელს უწყობს პროცესს, რომელიც ქალისათვის ლიდერის როლის მინიჭებას პრიორიტეტად სახავს. ეს გეგმა დაეხმარება პოლიტიკურ პარტიებს ჩამოყალიბდნენ უფრო წარმომადგენლობით და სოლიდურ ორგანიზაციებად.

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, 36-მა ხელმომწერმა ოფიციალურად წარადგინა გლობალური სამოქმედო გეგმა და გამოთქვა მზადყოფნა დაიწყონ მისი განხორციელება საკუთარ პოლიტიკურ პარტიებსა და ქვეყნებში. სამოქმედო გეგმის გამოქვეყნებითა და გავრცელებით, ჩვენ ვიმედოვნებთ, ხელს შევუწყობთ ხელისმომწერთა რაოდენობის გაზრდას და აღნიშნული ინიციატივის – „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“ – შემდგომ გაფართოებას.

პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ გლობალური სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: [www.winwithwomen.ndi.org](http://www.winwithwomen.ndi.org). ჩვენ ველით თქვენს აქტიურ მონაწილეობას და პარტნიორობას ამ მნიშვნელოვან საქმეში.



მადლენ კ. ოლბრაიტი  
NDI-ის თავმჯდომარე

# გლობალური სამოქმედო გეგმა

## გაწვიმარჯვემით ქალებთან ერთად: გავაპლიეროთ პოლიტიკური პარტიები

როგორც პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ჩვენ ვაღდებულებ ვართ გავაძლიეროთ პოლიტიკური პარტიები და ხელი შევუწყოთ დემოკრატიული განვითარების პროცესს.

გვჯერა, რომ ქალეების მონაწილეობა გადამწყვეტია ამ მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ვადასტურებთ პოლიტიკური შესაძლებლობებისა და ქალის, როგორც ლიდერის, როლისგაზრდის საჭიროებას, იმისათვის, რომ პოლიტიკური პარტიები გახდნენ უფრო ფართო, გამჭვირვალე და წარმომადგენლობითი ორგანიზაციები. პოლიტიკური პარტია არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ხალხის ინტერესებს და სურს იყოს ხელისუფლებაში, რათა გაატაროს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ამ ინტერესების დასაცავად. პოლიტიკური პარტიები აგრეთვე შესანიშნავი სკოლაა მომავალი მთავრობის ხელმძღვანელებისათვის და საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებაში ქალებს და მამაკაცებს თანაბარი უფლებები ჰქონდეთ.

მრავალი პოლიტიკური პარტია დღეს ახორციელებს საჭირო რეფორმებს, რომელიც მიმართულია გადაჭრას პარტიების წინაშე მდგარი შემდეგი გამოწვევები: სახალხო აპათია, პარტიების მიმართ ხალხის ნდობის საკითხები და ასევე ის რომ პარტია პასუხობდეს ხალხის საჭიროებებს. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა გადამწყვეტია ამ საკითხებში წარმატების მისაღწევად. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია დაუზოგავად მუშაობს იმისათვის, რომ გაზარდოს ქალის, როგორც ამომრჩეველის, აქტივისტის და კანდიდატის როლი არჩევით თანამდებობებზე. ჩვენ მივესალმებით ჩვენს მხარდაჭერ პოლიტიკურ ლიდერებს. მათი მონაწილეობა გადამწყვეტი პირობაა წარმატების მისაღწევად. გლობალურად, თანასწორობა კვლავ რჩება შორეულ მიზნად. მრავალ ქვეყანასა და პარტიაში ქალეები კვლავ არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ზოგიერთ ქვეყანაში ქალს არ აქვს უფლება ხმა მისცეს ან

კენჭი იყაროს არჩევნებში. მაშინ, როდესაც ქალეები წარმოდგენენ კაცობრიობის 50 პროცენტს, ეროვნულ მთავრობებში ისინი მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენენ.

როგორც პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, ჩვენ გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ საკუთარ პარტიებში იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას. ჩვენ ასევე მოწოდებულები ვართ ჩამოვაყალიბოთ გლობალური პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ინიციატივას სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის და მედიასთან მუშაობის საშუალებით. პარტიებმა აქტიურად უნდა იმუშაონ ამომრჩეველ ქალეებთან; მოიხილონ და მოამზადონ პოლიტიკური პარტიების ლიდერებად, აქტივისტებად და კანდიდატებად; ქალი კანდიდატები უზრუნველყონ საჭირო რესურსებით; და დარწმუნდნენ იმაში, რომ მდგრადობითი და მამრობითი სქესის კანდიდატები თანაბარ პირობებში იმყოფებიან. პოლიტიკურმა პარტიებმა აგრეთვე უნდა დაარწმუნონ მოქალაქეები ქალისა და მამაკაცის საჯარო სფეროში თანასწორობის მნიშვნელობაში.

ამავდროულად, ქალთა მზარდი მონაწილეობა საკვანძო როლს თამაშობს კორუფციასთან ბრძოლასა და საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის გაზრდაში, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის გაძლიერებასა და მათი სიცოცხლისუნარიანობის გაზრდაში. ჩვენ ასევე გვჯერა, რომ ქალთა მონაწილეობა გაზრდის პოლიტიკური პარტიების ანგარიშგაღებულულებას, გამჭვირვალეობასა და ერთიანობას. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ კორუფცია მცირდება ქალეების პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ზრდის პარალელურად. რაც უფრო მეტი ქალი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში – როგორც ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ან სახელისუფლებო თანამდებობის პირები – მით მეტადაა სახელმწიფო პოლიტიკაში ქალთა პრობლემები და პერსპექტივები ასახული.

ჩვენ ვეყრდნობით სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც აყალიბებს საერთაშორისო სტანდარტს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის განსაზღვრისას და იცავს თანასწორობას საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში: კონვენცია ქალის წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), გაერთიანებული ერების პეკინის სამოქმედო პლატფორმა და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325. პოლიტიკაში ქალთა სრულყოფილი მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების განხილვისას ჩვენ ვიმსჯელებთ შემდეგ თემებზე:

# 1

## ქალთა პოლიტიკურ საქმიანობაში შეზღუდვების გაუქმება, მათ შორის საარჩევნო ხმის უფლების გამოყენებასა და კანდიდატურის წამოყენებაზე

- გაუქმდეს ყველა შეზღუდვა, რომელიც თანაბრად არ ეხება ქალისა და მამაკაცის არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასა და კანდიდატურის წამოყენების უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი შეზღუდვები დროებითია და ემსახურება ქალის მონაწილეობის გაზრდას პოლიტიკურ საქმიანობაში.
- ჩამოყალიბდეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა პოლიტიკური ძალადობის ყველა ფორმის მიმართ, განსაკუთრებით ქალი ამომრჩევლების, კანდიდატებისა და პარტიის აქტივისტების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე.
- უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ფიზიკური უსაფრთხოება პარტიული აქტივისტებისთვის, კანდიდატებისთვის და არჩეული თანამდებობის პირებისთვის უსაფრთხო ზონების შექმნით, სადაც ქალი პოლიტიკოსები და მათი ოჯახები შეძლებენ თავის შეფარებას საფრთხის არსებობის შემთხვევაში.
- შეიქმნას მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს და დაიცავს ქალებს, მათი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის ან თანამდებობის დაკავებისთანავე. ჩაუტარდეთ ქალებს ტრენინგები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ ჟურნალისტების მხრიდან პირადად მათი ან მათი ოჯახის წევრის მისამართით განხორციელებულ შეტევებზე. განვითარდეს ქსელი, რომელიც სწრაფ რეაგირებას მოახდენს და დაეხმარება მათ ამგვარი ინციდენტების შემთხვევაში.

# 2

## არჩეული ქალი თანამდებობის პირების რაოდენობის გაზრდა ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

- პარტიათა ოფიციალურ პოლიტიკაში გათვალისწინებული იქნას ქალ კანდიდატთა დაწინაურების საკითხი. ქალი კანდიდატების მოზიდვის, მომზადებისა და მხარდაჭერის სტრატეგიული გეგმების შექმნით ხელი შეეუწყოთ ქალებს დაიკავონ თანამდებობები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.
- ქალი კანდიდატების მონაწილეობა სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად ქალაქისა და სოფლის დონეზე.
- ქალი კანდიდატებისა და არჩეული თანამდებობების პირების დაწინაურების მექანიზმების განხილვა, მათ შორის ქალთა ჩართვა პარტიული სიების პირველ რიგებში და მათი ნომინირება გამარჯვების დიდი ალბათობის მქონე რაიონებში. გარკვეულ შემთხვევებში კვლევებმა შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, განსაკუთრებით იქ, სადაც ქალები სრულად არიან იზოლირებული პოლიტიკური სისტემისგან.
- მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ქალი კანდიდატებისთვის. ქალ და მამაკაც კანდიდატებს, რომელთაც გააჩნიათ გამარჯვების თანაბარი პოტენციალი უნდა ჰქონდეთ პარტიის რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.
- სპეციალური ტრენინგების ორგანიზება ქალებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის თემაზე, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორცაა სტრატეგიის შემუშავება, დებატების ტექნიკა, ქსელის შექმნა, ადვოკატირება, საჯარო გამოსვლები, ლიდერობა, მუშაობა მედიასთან და ამომრჩეველთან, სტრატეგიული დაგეგმარება, სანდოობის ფაქტორების ჩამოყალიბება და თანხების მოძიება. ასევე ტრენინგი პრესასთან ურთიერთობისა და საზოგადოებისთვის გზავნილის მიწოდების თემაზე, რაც დაეხმარება ქალს წარდგეს აუდიტორიის წინაშე უფრო თავდაჯერებული და კარგად მომზადებული.

- იმ ქალთა მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია არჩევითი და დანიშნითი პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად.
- ქალ კანდიდატთა ხელშეწყობა ისეთი სფეროს უნარ-ჩვევების განვითარებაში, სადაც ტრადიციულად დომინირებენ მამაკაცები, მაგალითად, ბიუჯეტი და საერთაშორისო ურთიერთობები, იმისათვის რომ მათ შეეძლოთ საქმიანობის განხორციელება პოლიტიკის ყველა სფეროში.
- სასწავლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც საშუალებას მისცემს მაღალი დონის ეროვნული და საერთაშორისო როლური მოდელების შექმნას პრეტენდენტების, კანდიდატი და ახლადარჩეული თანამდებობის პირი ქალებისთვის. ქალებისა და მამაკაცების წახალისება ქალი ლიდერების გამოვლენაში, განსაკუთრებით მათი წარმომადგენლობის გაფართოებით როგორც პარტიის შიგნით, ასევე მის გარეთ.
- საშუალებების გამონახვა ქალთა წარმომადგენლობის გაფართოებისთვის ისეთ სფეროებში, როგორცაა პოლიტიკური ტრანსფორმაცია, სამშვიდობო პროცესები, საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესი და ა.შ. ქალმა ლიდერებმა უნდა გამოიყენონ ამგვარი შესაძლებლობები და ხელი შეუწყონ რეფორმების სტიმულირებას.
- შესაძლებლობების ფარგლებში საერთაშორისო სამართლისა და კონვენციების გამოყენება, როგორც ბერკეტის, ქვეყნის შიგნით ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდის მხარდასაჭერად.
- სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საადვოკაციო კამპანიის მხარდასაჭერად, რომელიც მიმართული იქნება ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.
- საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ჟურნალისტებისთვის პოლიტიკასა და სამთავრობო სტრუქტურებში ქალის როლის მნიშვნელობის შესახებ.

- ქალი კანდიდატების მხარდაჭერა არატრადიციული და კრეატიული მეთოდების ძიებაში, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მედიასთან მუშაობის სტრუქტურულად შემაფერხებელი ფაქტორები, როგორცაა სახელმწიფო კონტროლი საინფორმაციო საშუალებებზე.
- ქალი კანდიდატების მხარდაჭერა პარტიის გარეთ ტრენინგებისა და ისეთი ორგანიზაციების მოძიებაში, რომლებიც იზიარებენ მათ ფასეულობებს და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ შეტყობინების გავრცელებაში.

### 3 ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობის დანიშვნა წამყვან პარტიულ თანამდებობებზე.

- უზრუნველყოფილი იქნას ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენა გადაწყვეტილების მიღებაში შიდაპარტიულ საქმიანობაში და ლიდერთა პოზიციებზე.
- ადვოკატირების გეგმის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება პარტიაში ქალთა რაოდენობის სულ მცირე 30 პროცენტამდე გაზრდაზე. ქალთა წარმოდგენა პარტიული სიების წამყვან პოზიციებზე, მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ლიდერის პოზიციებზე.
- გენდერული საკითხების ჩართვა პარტიულ პროგრამებსა და მანიფესტებში. პარტიულ ლიდერებთან მუშაობა – როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან – იმ საკითხების განსახილველად, რომელიც დაკავშირებულია ამომჩვეული ქალების პრობლემებთან და პრიორიტეტებთან.
- პარტიის წევრთა ინფორმირება ქალთა წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშნვის მნიშვნელობაზე.
- თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომიტეტის ჩამოყალიბება (აღმასრულებელი და მონიტორინგის ორგანო), რომელიც გააკონტროლებს პარტიული პროცედურების თანაბრად განაწილებას ქალებსა და მამაკაცებს შორის. კომიტეტში მომუშავე ქალთა და მამაკაცთა პროცენტული რაოდენობა უნდა იყოს დაახლოებით თანაბარი.

- შიდა კვოტების შემოღება, კონკრეტული და შეთანხმებული ვადებით, ქალთა პარტიული მონაწილეობის გაზრდის მიზნით პარტიის ყველა დონეზე.
- დემოკრატიული და გამჭვირვალე წესების შემოღება პარტიის წესდებაში და კონტროლი მათ განხორციელებაზე. გამჭვირვალობის სტიმულირება კანდიდატების შერჩევის პროცესში, რათა მოხდეს მკაფიო და გასაგები კრიტერიუმების შერჩევა.
- ტრენინგების ჩატარება და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა პოლიტიკური პარტიების ქალთა ორგანიზაციებისთვის ან კომისიებისათვის, რაც უნდა განაპირობებდეს ქალთა მნიშვნელოვან მონაწილეობას პარტიის პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრისას, პარტიის მართვისას და კანდიდატთა შერჩევისას. მათ ასევე შესაძლებელი უნდა გახადონ ქალებისთვის საინტერესო პრობლემების, ინფორმირების და ქსელის ჩამოყალიბების საკითხების განხილვა, რაც შესძენს ქალს პარტიული პოლიტიკისა და ღობირების უნარ-ჩვევებს.
- საარჩევნო სისტემებისა და კანონმდებლობის ანალიზი ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე ზეგავლენის განსაზღვრის მიზნით. ბარიერების აღმოფხვრა საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების საშუალებით.
- ქალების მიმართ პოლიტიკური ნდობის ამაღლება და პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა, პარტიის წევრ ქალებსა და პარტიის ლიდერებს შორის თანამშრომლობის განვითარებით.
- პარტიული პროგრამის გამოყენებით ქალების ინტენსიური ურთიერთობა ამომრჩევლებთან ქალებისთვის და ქალებზე შეტყობინების შემუშავების მიზნით. პარტიის ცენტრალურ ოფისებში საინფორმაციო ბანკის შემუშავება, სადაც დაცული იქნება ქალების ამომრჩევლებთან მუშაობის მასალები.

- საერთაშორისო პარტიული გაერთიანებების მუშაობა სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც ემსახურება პარტიაში ქალი აქტივისტების, კანდიდატების და არჩევითი თანამდებობის პირების რაოდენობის გაზრდას.
- მედია საშუალებების ხელმისაწვდომობა, პარტიის ქალი წევრებისთვის, კანდიდატებისთვის და არჩეული თანამდებობის პირებისთვის, როგორცაა რადიო, პრესა და ტელევიზია. ქალი პოლიტიკოსების ურთიერთობების ხელშეწყობა ჟურნალისტებთან, განსაკუთრებით კი ქალ ჟურნალისტებთან.
- მედიისთვის შეტყობინების მომზადებისას და პარტიის პრეს-სპიკერის შერჩევისას ხელმძღვანელობა იმ საყოველთაო მოსაზრებით, რომ ქალი არის სანდო, პირდაპირი და მზრუნველი.
- ტექნოლოგიების გამოყენება შიდა პარტიულ და სამთავრობო დონეზე, რომელიც პასუხობს ქალთა საჭიროებებს და მათი ინფორმირება სამთავრობო პოლიტიკასა და პროგრამებზე.

# 4

**ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კანონმდებლობის ადვოკატირება, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორობას ქალსა და მამაკაცს შორის.**

- მინისტრისა და სხვა მაღალი დონის სამთავრობო თანამდებობებზე მეტი რაოდენობის ქალთა დანიშვნის ხელშეწყობა. პოლიტიკური გამოცდილების მქონე ქალების გამოვლენა, მაღალი დონის სამთავრობო პოზიციებზე დანიშვნის მიზნით და მათი ხელშეწყობა ურთიერთობების განსავითარებლად, როგორც ქალებთან, ისე მამაკაცებთან, მათი თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის მხარდასაჭერად.



- ქალი მინისტრების პორტფელების დივერსიფიცირება, ისე რომ ისინი არ შეიზღუდონ მხოლოდ სოციალური საკითხებით.
- სატრენინგო პროგრამების შემუშავება, ლიდერობის უნარ-ჩვევების ტრენინგის ჩათვლით, იმისათვის, რომ ქალმა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა, შეასრულოს თავისი როლი.
- ქალთა მოტივირება სამთავრობო პოზიციების დასაკავებლად და მათი წინსვლის ხელშეწყობა სამოქალაქო სამსახურში, სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში.
- ქალთა ფრაქციული ჯგუფების ფორმირება საკანონმდებლო ორგანოებში კონკრეტულ პრობლემებზე მუშაობის მიზნით, აგრეთვე კოალიციებში მუშაობა პარტიების პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით.
- იმ კანონმდებლობის ხელშეწყობა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, კრძალავს ქალის დისკრიმინაციას სამსახურში აყვანისას და დაწინაურებისას სამთავრობო სტრუქტურებში.
- სამინისტროებისა და სახელმწიფო სამსახურების ყველა დეპარტამენტში ქალთა ოფისების ფორმირება, განვითარება და დაფინანსება სამოქმედო გეგმის და კანონპროექტების შემუშავების მიზნით, სადაც გათვალისწინებული იქნება ქალთა ინტერესები.
- სახელმწიფო ბიუჯეტის ისეთი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამთავრობო სტრუქტურების ადეკვატურ დაფინანსებას, ქალებთან დაკავშირებული საკითხების მხარდასაჭერად.
- ქალთა საჯარო სამსახურში ჩართულობის შესახებ მონაცემების შეკრება და გავრცელება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე (მაგალითად, ანგარიში ქალთა რაოდენობის შესახებ სამთავრობო სამსახურში). სახელმწიფო უწყების ან განყოფილების

ჩამოყალიბება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოცემული ინფორმაციის შენახვაზე და ყოველწლიური ზომების მიღებაზე სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით. მთავრობებმა აგრეთვე უპასუხოდ არ უნდა დატოვონ დამოუკიდებელი კვლევების შედეგები და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები ამ საკითხებზე.

- მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო სამსახურებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე მედიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.
- ისეთი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს მზრუნველობას ბავშვებზე, მოხუცებსა და ოჯახებზე, ქალის სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის მხარდასაჭერად.
- პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ქალი ლიდერების პროფესიული განვითარებისთვის და გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივების გარშემო კოალიციების ჩამოყალიბებისათვის.
- სამთავრობო მექანიზმების შექმნა, ქალებსა და მამაკაცებს შორის “რაოდენობრივი სხვაობის” დადგენის მიზნით.

როგორც პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ჩვენ ვაღიარებთ ვართ გაგაგრძელოთ ჩვენი პროპაგანდა ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის და ვითანამშრომლოთ პარტიების სხვა ლიდერებთან, როგორც ქალებთან, ისე მამაკაცებთან, იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც დღეისათვის არსებობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის

## ხელმოწერები

**მადლენ კ. ოლბრაითი**, გლობალური ფორუმის მასპინძელი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარე (*აშშ*)

**ნაზმა ასტარი**, ავამის ლიგის მაჰილა ჯუბო ცენტრალური კომიტეტის წევრი (*ბანგლადეში*)

**ზეინაბ ბანგურა**, “მოძრაობა პროგრესისათვის” (Movement for Progress) დამფუძნებელი და თავმჯდომარე დაპრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი (*სიერრა ლეონე*)

**აიჩა ბელჟარი**, “მოძრაობა მშვიდობიანი სამოქალაქო საზოგადოების” (Women’s and Family Affairs of the Movement for a Peaceful Society) ეროვნული მდივანი (*ალჟირი*)

**სუმაია ბენსალოონი**, წარმომადგენლობითი პალატის წევრი (*მაროკო*)

**ვინი ბიანიმა**, ეროვნული ასამბლეის წევრი (*უგანდა*)

**მარია ეუჰენია კამპოსი**, მართვის სამინისტროს მრჩეველი (*მექსიკა*)

**ინდრანი ჩანდრაპალი**, ეროვნული ასამბლეის წევრი და “ხალხთა პროგრესული პარტია” (People’s Progressive Party) ქალთა სექციის გენერალური მდივანი (*გაიანა*)

**ფანტა მნინი დიარა**, ეროვნული ასამბლეის წევრი და დამფუძნებელი და ეროვნული კონგრესის დემოკრატიული ინიციატივის ვიცე-პრეზიდენტი (*მალი*)

**ტენინკე დიუბატე**, რესპუბლიკური ძალების კავშირის ეროვნული აღმასრულებელი ორგანოს წევრი (*გვინეა*)

**ჯეფარინა ჯოინი**, “ეროვნული გამოღვიძების პარტია” (National Awakening Party) გენერალური მდივანის მოადგილე (*ინდონეზია*)

**ჯერალდინა ა. ფერარო**, კონგრესის ყოფილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი (*აშშ*)

**ლორდეს ფლორეს ნანო**, საერთაშორისო ქრისტიან-დემოკრატებისა და სახალხო პარტიების ვიცე-პრეზიდენტი, ქრისტიანული სახალხო პარტიის პრეზიდენტი, “ალიანსი - ეროვნული ერთობა” (National Unity Alliance) პრეზიდენტი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი (*პერუ*)

**სარიტა გირი**, “ცენტრი – ქალები პოლიტიკაში” (Center for Women in Politics) დირექტორი და “Nepal Sadbhavana Party”-ის ცენტრალური კომიტეტის სპიკერი (*ნეპალი*)

**სლავიცა გრკოვსკა**, პარლამენტის წევრი და სოციალ-დემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი (*მაკედონია*)

**ტემი ჰარიმანი**, წარმომადგენლობითი პალატის წევრი (*ნიგერია*)

**იულისა ჰერნანდესი**, სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების კავშირის კაბინეტის კოორდინატორი (*დომინიკის რესპუბლიკა*)

**ტოლკან ისმაილოვა**, დემოკრატიული განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი და “სამოქალაქო საზოგადოება კორუფციის წინააღმდეგ” (Civil Society Against Corruption) აღმასრულებელი დირექტორი (*ყირგიზეთი*)

**ამინატა ფაი კასსე**, სენეგალის ქალთა საბჭოს პრეზიდენტი (*სენეგალი*)

კაროლინა ლიკოვიჩი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალთა ფორუმის გენერალური მდივანი (ხორვატია)

მარია ლაისნერი, ელჩი გვატემალაში (შვედეთი)

სუპატრა მასდიტი, “აზია-წყნარი ოკეანის ქალები პოლიტიკაში” (Asia-Pacific Women in Politics) ცენტრის პრეზიდენტი (ტაილანდი)

ოდრი მაკლაულინი, ყოფილი პარლამენტის წევრი და ახალი დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერი (კანადა)

ბეატრიზ მერინო ლუცერო, პრემიერ მინისტრი (პერუ)

სამია მოუალფი, პარლამენტის წევრი და ეროვნული ლიბერალური ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი (აღუირი)

ენემი ნეიტს-უტგებრუკი, სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტის წევრი და “Liberal International”-ის პრეზიდენტი (ბელგია)

სინტია ხიმენა პრადო ქვიროგა, ახალი რესპუბლიკური ძალების გენდერული საკითხების მდივანი (ბოლივია)

ქენ ნანა სანოუ, “მოძრაობა თავისუფლების, რენესანსის და ინტეგრაციისთვის” (Movement for the Independence, Renaissance and Integration of Africa) საგარეო ურთიერთობების მდივანი (მალისი)

ტიოლონგ საუმურა, პარლამენტის წევრი (კამბოჯა)

მუ სოჩუა, ქალთა და ვეტერანთა საქმეების მინისტრი და “FUNCINPEC”-ის გენერალური მდივნის მოადგილე (კამბოჯა)

ელის სუმანი, გენდერული საკითხებისა და თემის მომსახურების მინისტრი და ეროვნული ასამბლეის წევრი (მალაი)

ფაუზია ვაჰაბი, ეროვნული ასამბლეის წევრი და პაკისტანის სახალხო პარტიის “ადამიანის უპლებათა ქსელის” (Human Rights Cell) ცენტრალური კოორდინატორი (პაკისტანი)

ჯან კლოდ ვიკინსონი, ეროვნული ასამბლეის წევრი (გვინეა)

ჩიტრა ლეხა იადავი, წარმომადგენლობითი პალატის სპიკერის მოადგილე (ნეპალი)

## დამკვირვებლები

ბარბარა ჰაიგი, პროგრამების, დაგეგმვისა და შეფასების ვიცე-პრეზიდენტი (ეროვნული დეველპმენტის პროგრამის NED)

მაჰა მუნა, პროგრამის მენეჯერი და ხელმძღვანელი მართვის, მშვიდობისა და უსაფრთხოების დარგში (UNIFEM)

გიტა ველჰი, დემოკრატიული მართვის ჯგუფის ლიდერი (გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, UNDP)

ხელმოწერები:

ახალი მემარჯვენეები: მანან აბულაძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: ს. მსხვილიძე

ეროვნული საბჭო: ი. სტეფანაშვილი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: გ. ვოლნისკელი

თოფაძე-მრეწველები: მ. მრეწველი

საქართველოს გზა: ს. მარტოვიძე

საქართველოს დემოკრატიული პარტია: ნანა ბერიძე

საქართველოს რესპუბლიკური პარტია: ა. ნიკოლეი

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა: მ. თაყაიშვილი

ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები: ი. კობახიძე

ახალი ძლიერი საქართველო – ს. ვოლნისკელი

საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებასა და გავრცელებაზე მსოფლიო მასშტაბით. მოხალისე ექსპერტების მსოფლიო ქსელის მეშვეობით, NDI პრაქტიკულ დახმარებას უწევს სამოქალაქო და პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიულ ფასეულობებს, საქმიანობას და ინსტიტუტებს. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა დაარსოს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას.

**დირექტორთა  
საბჭო**

*თავმჯდომარე*

მადლენ კ.  
ოლბრაითი

*თავმჯდომარის  
მოადგილე*

რეიჩელ პოროვიცი

*მდივანი  
ქენეთ ფ. მელი*

*ხაზინდარი  
ეუვენ აინდენბერგი*

*პრეზიდენტი  
ქენეთ ვოლაკი*

ბერნარდ ვ. არონსონ  
ქ. ბრაიან ეტვუდი ჰერიეთ  
ქ. ბაბითი  
ელიზაბეთ ფროუველი  
ბაგლი  
ჯონ ბაგეტ ქალამბოკიდის  
ბარბარა ჯ. ისტერლინგი  
ჯერალდინა ა. ფერარო  
სემ გუდენსონი  
პატრიკ ჯ. გრიფინი  
ჯონ ანდერსონ გროუვი  
შირლი რობინსონ პოლი  
ჰაროლდ ჰონგიუ კოპი  
პიტერ კოუვლერი  
ნეთ ლაკურ ლევისი  
მანილოუ კონსტანსი  
მილსტეინ მარკ ბ.  
ნეთენსონ მოლი  
რეიზერ ნიკოლას ა. რეი  
სიუზან ე. რაისი

ნენსი კ. რუბინი  
ელაინ კ. შოკასი  
მაიქლ რ. სტილი  
მაურის ტემპელსმენი  
არტურო ვალენსუელა

*საპატიო თავმჯდომარეები*

პოლ გ. კირკი უმც.  
ვოლტერ ფ. მონდელი  
ჩარლზ ტ. მენეთ

**მთავარი საკონსულაციო  
საბჭო**

ვილიამ ვ. ალექსანდერი  
მაიქლ დ. ბარნესი ჯონ  
ბრადემას  
ბილ ბრედლეი ემანუელ  
ქლივერი II  
მარიო მ. კუმო  
პატრიცია მ. დერიანი

კრისტიფერ ჯ. დოლი  
მაიქლ ს. დუკაისი  
თომას ფ. იგლტონი  
მარტინ ფროსტი  
რიჩარდ ნ. გარდნერი  
რიჩარდ ა. გეფარდტ  
ჯონ ტ. ჯოისი  
პეტერ ჯ. კელი  
პოლ გ. კირკი უმც.  
ელიოტ ფ. კულიკი  
ჯონ ლევისი  
დონალდ ფ. მაკჰენრი  
აბნერ ჯ. მიკვა  
ჩარლზი ს. რობ  
შტეფენ ჯ. სოლარცი  
თეოდორე ქ. სორენსენი  
ესტებან ი. ტორესი  
ენი ვექსლერი  
ენდრიუ ჯ. აუნგი



ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი  
2030 M Street, NW, Fifth Floor  
Washington, DC 20036-3306  
ტელ: 202.728.5500  
ფაქსი: 202.728.5520  
contact@ndi.org  
www.ndi.org

